საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1855 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 1^1 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან 3 (სამი) თვის ვადით და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 3 000 (სამი ათასი)$მ^3$ სასარგებლო წიაღისეული (კირქვა/ღორღი) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ონის მიმდებარე ტერიტორიაზე – 1 000 $მ^3$ კირქვა (ღორღი);

№	X	Y
1	333850,76836	4709806,10596
2	333892,87071	4709798,34647
3	333898,13463	4709770,26612
4	333850,58773	4709787,59115
S= 0,10 ha		
WGS 1984		

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცახის მიმდებარე ტერიტორიაზე 1000 $მ^3$ კირქვა (ღორღი);

№	X	Y
1	330525,6705	4709702,5645
2	330558,8033	4709700,9936
3	330558,3889	4709670,6885
4	330526,4775	4709671,7834
S= 0,10 ha		
WGS 1984		

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე 1000 $მ^3$ კირქვა (ღორღი);

№	X	Y
1	347169,8186	4702012,1108
2	347174,0947	4702020,5627
3	347211,1830	4702002,6974
4	347196,8955	4701983,9119
S =0,07ha		
WGS 1984		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) 2019 წლის 24 აპრილის გეოსაინფორმაციო პაკეტებითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 7 ივნისის №2-03/7633 წერილით განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის.

3. დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა 3 000 m^3 კირქვის (ღორღის) მოპოვებისათვის ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 1500 (ათას ხუთასი) ლარის გადახდა.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე წიაღით სარგებლობის პირობების შესრულების ზედამხედველობა განახორციელოს სააგენტომ.

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**